# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**№ 17**
წელიწადი მეორე
— 1913 —
სამშაბათი, 22 იანვარი

რედაქცია მოთავსებულია **ქუთაისში**, ივანოვის ქუჩაზე, მ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



აბა, მოსწიეთ პაპიროზი

15 ცალი 6 კ. „ა ნ ი" 25 ცალი 2 შაურათ

აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი".

აბა, მოსწიეთ პაპიროზი

20 ცალი 1 შაურათ „შელაია რომაშკა" 20 ცალი 1 შაურათ

აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი".


## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 **იმერეთი** წელიწადი მეორე 1913

**გაზეთის ფასი:**
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივლისისთვისაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო სტრიქონი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ", Антону Михаиловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ქვრივი პელაგია დავითის ასული ქებაძისა; შვილები: ბიჭიკო, ვასიკო, დათიკო, ლიზა, მარუსია და აგრაფინა; ძმისწულები: დიმიტრი ქრისტეფორეს ძე და სამსონ სოლომონის ძე ქებაძენი; სიძენი: ილარიონ მოწონოლიძე და ივანე გეპნერი; რძლები: ოლინკა და ლუბა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, მეორენი ძვირფასი მამის, მესამენი ბიძის, მეოთხენი—სიმამრის, ხოლო მეხუთენი—მამამთილის

**ელიზბარ გრიგოლის ძის ქებაძის**

გადაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება 22 იანვარს, დღით სამშაბათს ნაშუადღევის სამ საათზე, ჯაჭვის ხიდთან, ბენაშვილის სახლში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

ვიქტორ მარჯანიშვილი, ოლღა თუთბერიძისა, ბარბალე ვოინოხოვსკისა და ანა კონსტანტინე მარჯანიშვილის ასული გულითად მადლობას სწირვენ ყველას, ვინც პირადათ, თუ წერილობით მათ სამძიმარი გაუცხადა მათი ძვირფასი დედის მარიამის გადაცვალების გამო.

## ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **დღეს, 22 იანვარს, საღამოს 8 საათზე** ქალაქის თეატრში დანიშნულია არაჩვეულებრივი კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს კომიტეტი, დამსახურებული არტისტის ლადიმერ მესხიშვილის იუბილეს მოსაწყობათ. ქუთაისში იუბილე დანიშნულია 10 მარტს.


## ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

...იანვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).


ქუთაისის მოვაჭრეთა საყურადღებოთ.

## თეატრ რადიუმში

**1 იანვრიდან 1913 წ.**

**იყიდება ადგილები სცენის ფარდაზე**

**განცხადებების და რეკლამებისათვის.**

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თეატრ რადიუმის დირექციას, ყოველდღე საღამოს 7 საათიდან.

ბენეფისი მარო მდივნისა.

ხუთშაბათს, 24 იანვარს 1913 წ. ქუთაისის ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

## პატარა კოლეგა

მოზარდი ქალის სიყვარული.
(კომ. 4 მოქმ., თარგ. სანდალიძისა)
რეჟისორი მ. ქორელი.
დასაწყისი საღ. 8½ საათზე —::— ადმინისტრატორი გ. ურუშაძე.


ქ ა ლ ი ს
**აქიმი** ა. დ. აბაშიძის ასული **ჟიჟინაძისა** იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას ახლო.

**აქიმი.** გ. დ. ნასარიძე მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადვიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

**აქიმი ი. ჩარექოვი.** იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

## ბებია ქალი

ო. დონდუას ასული
აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.
პუშკინის ქუჩაზე გიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.


## დ ღ ი უ რ ი

— ჩატალჯში მდგომი ოსმალეთის ჯარი ენვერ-ბეისა და 22 აფიცრის სამართალში მიცემას მოითხოვს.

— ახალგაზდა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველათ ფიდაიების ჯგუფი შედგა. ფიდაიების ჯგუფში ბევრი ჩერქეზია.

— ჩატალჯში ახალგაზდა ოსმალებსა და ჯარის კაცებს შეტაკება მოუხდათ. შეტაკების დროს ბევრი დაიხოცა. 45 დაჭრილი სტამბოლს მიიყვანეს.

— ენვერ-ბეი გალიპოლს წავიდა, რომ იქ სამხრეთის ჯარს წინამძღოლათ გაუხდეს და ადრიანოპოლი ოსმალეთს შეანარჩუნოს.

— ალბანეთის საზღვრების შესახებ რუსეთსა და ავსტრიას მოლაპარაკება აქვთო; რუსეთი დაეთანხმა ავსტრიას, რომ ალბანეთს სკუტარი და იანინი მიეკუთნოსო.

— აფიცერთა სამხედრო ლიგა მეჩეთებში კრებებს ახდენს. კრებაზე მსჯელობენ როგორ დასცენ ახალგაზდა ოსმალთა მთავრობა.

— ახალგაზდა ოსმალებმა გადაწყვიტეს სამხედრო ბეგარა მოხდილი ჯარის კაცები—30—45 წლამდი—მოიხმონ.

— არეულობის დღეს სომხური გაზეთის რედაქტორი კელეკიანი ახალგაზდა ოსმალებმა შეიპყრეს. ძალა იხმარეს და ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის სასარგებლოთ წერილი დააწერიეს.

— ბოსფორსა და კუმ-კალეში სამი გარნიზონი აჯანყდა. ჯარი სამხედრო ლიგას უერთდება. ლიგა ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედებს.

— დაშნაკცუტუნის პარტიამ გადაწყვიტა: ებრძოლოს ახალგაზდა ოსმალებს. ახალგაზდა ოსმალები სომხეთის ავტონომიის წინააღმდეგიაო.

— ენვერ-ბეი გალიპოლიდან დაბრუნდა. გალიპოლში ჯარმა უთხრა: კაცის მკვლელი ჩვენ წინამძღოლათ არ გვინდაო.

— კონტრ-რევოლიციის სათავეში აბუკ-ფაშა უდგას. და ჩატალჯიდან თავის ჯარით სტამბოლს მიდის.

— გერმანიის ელჩმა სთქვა: გერმანია რუსეთს არაოდეს ნებას არ მისცემს ბალკანეთის სლავიანთა სასარგებლოთ ოსმალეთზე იმოქმედოსო.

— ნაზიმ ფაშას მომხრე აფიცრებმა კრება მოახდინეს. კრებას 500 კაცი დაესწრო. კრების დარბაზში ახალგაზდა ოსმალები შევიდენ და კრების დაშლა მოითხოვეს. ამათ აქ შეტაკება მოუხდათ. შეტაკების დროს 42 კაცი დაიჭრა.

— ლონდონში 16 იანვარს დიდი ბრიტანიის მუშათა კონგრესი გაიხსნა.

— გაფიცვების გამო პეტერბურგში პუტილოვის ქარხნიდან თერთმეტი ათასი მუშა დაითხოვეს.

— ვარშავის ფარმაცევტთა კურსებზე მოსწავლე პოლონელებმა ებრაელ მოწაფეებთან სურათის გადაღებაზე უარი სთქვეს.

— პრესის შესახებ ახალი კანონ-პროექტის განხილვა სათათბიროს კომისიამ დ ამთავრა.

— კიევში რამდენიმე ებრაელი მოწაფე დაიჭირეს და უბძანე[?] კიევიდან გასვლა.

— ნიკოლაევში 120 მუშის გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დასრულდა.

— გაზეთი „დენ“-ის რედაკტორი 500 მანეთით დააჯარიმეს წერილისათვის — „ჩვენი ბედნიერება“.

— სამხედრო აგენტებს განახლებული ომის დროს ომის ასპარეზზე არ გაუშვებენ.

— ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით, თუ ომი განახლდა, არც კორესპონდენტებს და არც სამხედრო აგენტებს ოსმალეთის ბანაკში არ გაატარებენ.

— დანევი დროებით ლონდონში დარჩა. ფიქრობენ დიდი სახელმწიფოების გავლენა ომის განახლებას ხელს შეუშლისო.

— ვენიზელოსი ბრიანმა, პუანკარემ და ჟონარმა ინახულეს.

## ოსმალეთის მდგომარეობა.

სამშვიდობო მოლაპარაკება შეწყდა. ომის საზარელი ამბები კვლავ დატრიალდება და დამარცხებულს საშინელებათ თავს დაატყდება.

ახალგაზდა თურქებმა, რომელთაც პირველი რევოლუცია მოახთინეს, ხელ-ახალი სამხედრო რევოლუციის საშვალებით პოლიტიკური უფლება ისევ ხელში ჩაიგდეს. მაგრამ მიაწევენ კი მიზანს?

ოსმალეთის უბედურება მათი ბრალია. მართალია, მათ ოსმალეთის განახლება უნდოდათ, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა შერიგება მათი იდეალისა კონსტიტუციასთან, რომელიც ვითომ დაამყარეს.

კონსტიტუცია მოასწავებს ხალხის უმრავლესობის ბატონობას. ახალგაზდა თურქების მიზანი კი იყო და არის თურქების გაბატონება, თუმცა მათი რიცხვი შედარებით მცირეა. მათ მოინდომეს ასე გაშინჯეთ, სხვა ერების გათურქება და ალბანელთ თავისი ანბანის ხმარების უფლებაც კი არ მიანიჭეს. ოსმალეთის თითოეული მოქალაქე ოტომანი უნდა იყოსო, ეს შოვინისტური, ვიწრო ეროვნული იდეალი დაისახეს მიზნათ.

და ამგვარ პოლიტიკას შედეგათ სახელმწიფოს არევ-დარევა და ჩაგრულის ერების აჯანყება მოყვა. აჯანყდენ არაბნი და ალბანელნი, უკმაყოფილობას აცხადებდენ მაკედონელნი, ბერძნები, სომხები და სხ. და ახალგაზდა თურქთა მართველობამ მთელი თავისი ენერგია აჯანყებულთა დამშვიდებასა და საზოგადო უკმაყოფილების ძალით ჩაქრობას მოანდომა. და იარაღათ ისევ ის ტლანქი ძალა იხმარეს, რომელსაც დატყვევებულ წითელ ხვანთქარს უწუნებდენ. მიკვირს, რად გადააყენეს, თუ ძველებური წესი ქვეყნის მართვა-გამგეობისა არ შეიცვლებოდა?!

მთელს სახელმწიფოში დღემდი სამხედრო წესები მოქმედობს და, მაშასადამე, პიროვნების ხელშეუხებლობა და სიტყვისა, ბეჭდვისა და კრების თავისუფლება უზრუნველყოფილი არ არის.

ოსმალეთში ახლა სამხედრო ოლიგარხია მეფობს, რომელსაც თავისუფლებასთან საერთო არაფერი აქვს.

და ამ ოლიგარხიამ, რაც დასთესა, უკვე მოიმკო.

ბალკანეთის სახელმწიფოებმა რომ ოსმალეთს ომი გამოუცხადეს, იქაური მცხოვრებთა უმეტესობა ოსმალოთაგან გათავისუფლებას დიდი სიხარულით ელოდენ. და, ცხადია, ოსმალეთს რომ ამ ხალხისთვის სრული ავტონომია მიენიჭებია, ის ოსმალეთს ზურგს არ შეუბრუნებდა და თავის დაუპატიჟებელს, არამკითხე განმათავისუფლებელ „ბრატუშკებს“ მედგარ წინაალმდეგობას გაუწევდა. დიახ! ოსმალეთმა თავისი ჟინიანი და ბრმა პოლიტიკით ბალკანეთი წააგო და დღეს თუ ხვალ, ვინ იცის, ეგებ სტამბოლზეც ხელი აიღოს.

ეს არის პოლიტიკური ცენტრალიზაციის შედეგი, რომელიც ჩვენს „დასელებს“ ასე მოსწონთ.

და კიდევ ვიტყვი: პოლიტიკური ცენტრალიზაცია და ტლანქი ძალმომრეობა ერთიმეორესთან მჭიდროთ არის შეკავშირებული.

და მერე რა სამარცხვინო იყო ევროპის ოსმალეთის სულთა ბრძოლა?! „ბრატუშკები“. ე. ი. ბულგარები, სომხები შავმთიელებითურთ და ბერძნები არც ფულათ არიან მდიდარი და არც მაინცადამაინც დიდი განათლებით. რუსეთი რომ დიდმა და განათლებულმა იაპონიამ დაამარცხა, არ იყო ძლიერ საკვირველი და სათაკილო. და ოსმალეთი კი ამ საშინელ სირცხვილს ვერაოდეს ვერ მოიხოცს.

მხოლოდ ერთი რამ არის საინტერესო: შეცვლიან თუ არა თურქები შინაურ პოლიტიკას ამ დამარცხებას შემდეგ?

მეთვრამეტე საუკუნის გასულს რომ ინგლისს ჩრდილო-ამერიკის შტატები ჩამოშორდა, ჭკვიანმა და წინდახედულმა ინგლისელებმა მაშინვე შესცვალეს პოლიტიკა თავისი ახალშენების შესახებ, რომელთაც თანდათან მიანიჭეს უფრო და უფრო ფართო უფლებანი. და დღეს თუ ინგლისსა და ხსენებულ ახალშენებს შორის მჭიდრო კავშირი სუფევს, იმიტომ, რომ თითოეულ მათგანს სრული ავტონომია აქვს მინიჭებული.

წააგებენ თუ არ ოსმალონი ინგლისელებს?

თუ წააგებენ, ე. ი. თუ ოსმალეთის თითოეულ ერს ავტონომიას მიანიჭებენ, მაშინ ოსმალეთი შეიქნება უძლიერეს სახელმწიფოთ, ბალკანეთის სამეფოებიც რომ ჩამოშორდეს მაშინ ოსმალეთი მარტო შინაური ერების გულს კი არ მიიზიდავს, არამედ მთელი აზიისა და ევროპის ატივისცემას მოიპოებს.

და, თუ ძველ გზას არ დაადგებიან[?], ე. ი. ძალმომრეობისა და ჩაგვრის პოლიტიკას განაგძობენ, მაშინ ოსმალეთის ბედი ბეწვზე იქნება დაკიდებული და, ცხადია, მის არსებობას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ექნება.

ურ.

## ახალი ამბავი.

20 იანვარს ქ. ქუთაისში გაიმართა კრება თათფირი ივერიის „ათონის“ მონასტრის შესახებ, გუბერნიის წინამძღოლისა, ქალაქის მოურავისა იურისტებისა, მასწავლებლებისა სასულიერო პირთა და სხვათა წარმომადგენლების თანა დასწრებით. აირჩიეს ხუთი მცოდნე პირი კომისიაში, რომელნიც გაშინჯვენ იმ ქაღალდის პირს, რომელიც ამ საქმისთვის შემდგარმა. ქ. თფილისის კომიტეტმა გადმოსცა ქ. ქუთაისის კომიტეტს. 23-ს ამთვეს ხსენებული კომისია განიხილავს ამ ქაღალდს რომელიც ამას შემდეგ დანიშნულებისამებრ გაიგზავნება.

✦ ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლმა მაზრის წინამძღოლებს წინადადებით მიმართა, რომ ამათ მოელაპარაკონ თავიანთი მაზრის თავად-აზნაურთ და იზრუნონ, რომ ამ თავად-აზნაურობამ სანადელო მიწების ხვედრი ფულიდან საზოგადო საქიროებისათვის 25o/o გადასდვან.

✦ ჩვენი გაზეთის მე 68 ნუმერში დირექციის მიერ დათხოვილმა მასწავლებელმა ლ. ნაცვლიშვილმა წერილი მოათავსა—„სამი გამგის საქციელის გამო,“ სადაც პროტესტს უცხადებდა იმათ აჩქარებისათვის. შკოლების ინსპეკტორს მიუწერია ნაცვლიშვილისათვის 12 იანვრამდი მიეცა პასუხი ამ წერილის მოთავსებისათვის. ინსპეკტორის ქაღალდი ხელმოუწერელი ყოფილა, ნაცვლიშვილი მეორე ქაღალდს მოელოდა და პასუხიც მხოლოდ 16 იანვარს გაუცია, რაკი მეორე ქაღალდი არ მოსულია. მაგრამ ნაცვლიშვილი ინსპეკტორს წინადღით (15 იანვ.) უკვე წარუდგენია დასათხოვათ და გამგისათვის ასეთი ქაღალდი გაუგზავნია: „მასწავლებელი ნაცვლიშვილი დათხოვილია სამსახურიდან, რადგან მან გაზ. „იმერეთში“ საჯაროთ აღიარა გამგის მიერ სამსახურის მოვალეობის შესრულება „სამარცხვინო საქმეთ.“ ქალაქის გამგეობისთვის კი სულ სხვა შინაარსიანი ქაღალდი მიუწერია: ნაცვლიშვილი დათხოვილია, რადგან მან რუსული ენის სწავლება აღიარა „სამარცხვინო საქმეთაო“... განმარტება მეტია.

✦ როგორც ხმა დადის, დირექციას ქალაქის შკოლების დახოვნაზე კიდევ გაუგზავნია მზრუნველთან ქაღალდიო.

✦ საკონკურსო გამოცდა ქალაქის დაწყებით შკოლის მასწავლებლის ერთი თავისუფალი ადგილის დაჭერის მსურველებისა დასრულდა. ასისტენტებზე ჯერ სჯა არ ქონიათ არც ზეპირსა და არც წერით გამოცდაზე.

✦ ამიერ კავკასიის მამადიანთა უმაღლესმა სასულიერო პირმა, შეიხულ-ისლამმა მისწერა ხელქვეითებს, რომ რუსეთის მამადიანნი ყოველგვარი სიკეთით სარგებლობენ და მოუწოდებს მათ რომანოვების საუვარეულო იუბილე განსაკუთრებული ზეიმით გადაიხადონ.

✦ იმ დროს, როცა ქართული ენა ჩვენს შკოლებში განსაცდელშია და ყოველი მხრიდან იწერება ქართულს გაზეთებში ზოგიერთ მასწავლებელთა უკუღმართობაზე ფოთიც უნდა მოვიხსენოთ. აი, რას გვწერენ, საკრებულო ტაძრის ორ—კლასიანი სამრევლო შკოლის მასწავლებელნი ნინო პარკაიას და ნინო გოგავას ასულნი გარუსების პოლიტიკის მოტრფიალენი მშვენიერათ ასრულებენ ქართველი ბავშების გადაგვარებას, რუსული ენის სწავლებას იწყებენ პირველ განყოფილებაში პირველი სეკტემბრიდან. ამ სამწუხარო მოვლენას ემატება მეორე უბედურებაც: ხსენებულ მასწავლებელთა წყალობით ამ შკოლიდან გაიდევნა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო და ნაცვლად შემოღებული იქნა გრიგორიევ-ოლენინის სახელმძღვანელო. ალბათ მადლობასა და ქებას გამოელიან“.

✦ დ. თურდოსპირელის რჩეულ ნაწერთა კრებული ამ მოკლე ხანში გამოვა.

✦ კავკასიელ ღარიბ სტუდენტებისათვის, ბაქოელ მილიონერებს გ. თაგიევს და მ. ნაგიევს ას-ასი მანეთი შეუწირავთ.

✦ სახ გაზეთი სწერს: 18 იანვარს თფილისიდან ეჩმიაძინს გაემგზავრა „ბირჟევია ვედმოსტის“ სპეციალური კორესპონდენტიო. კორესპონდენტი ინახულებს სრულიად სომეხთა კათოლიკოზს და ეჩმიაძინის მონასტრებსაც დაათვალიერებსო.

✦ საძოვარი ბალახის სნეულობასა და მავნე მწერთა წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალების გამოსანახავათ თფილისში კურსები გახსნილა. კურსებზე ლექციებს სასოფლო მეურნეობის შესახებაც კითხილობენო, მსმენელთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 30 ყოფილა.

✦ პეტერბურგში სპეციალისტ აგრონომთა კრება იმართება და ამის გამო მიწათ მოქმედების დეპარტამენტმა კასიის მიწათ მოწყობისა და მიწათ მოქმედების მთავარ რწმუნებულს შემ... თვალო—კრებაზე დასასწრებლათ ... ნომში გამოგზავნეო.

✦ კასრელ გაბაშვილის მემკვიდრე... თფილისის პოლიტეხნიკუმს ვერაზე ... დესეტინა მიწა შეწირეს.

✦ „დენი“ სწერს—გეგეჭკორ-გეგ... ვანის ინციდენტის შესახებ რედაქ... კიდევ მისდის წერილები რედაქცია ... ჰიროთ სცნობს აღნიშნოს, რომ ამ ... რილების დაბეჭდავს სამედიატორო სამორთლოს დასრულებამდი შეუძ... ლათ სცნობსო.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „... თლებას“ პირველი ნუმერი. ჟურნა... ს. დადიანისა ივ. გამართლისა, ი. ... ძისა, ლ. ბოცვაძის და სხვათა წერილ... მოთავსებული.

## მოწერილი ამბავი

ს. ფარცხანაყანევი (ქვემო-იმერეთი).

ამ სოფელში სამი შკოლაა—ორი მინისტრო და ერთიც სამრევლო. მივე შკოლა სავსეა მოწაფეებით. ... რა კითხვა სამრევლო შკოლის ... შენობის გადიდებისა. ამ საგნის შ... რამდეჯერმე სასოფლო ყრილობაც ... იწვიეს. ხალხმა შენობის გადიდებ... დაწყვიტა. შენობის გადიდებაზე ... დაიხარჯება იმის მეოთხედის გა... სასულიერო მთავრობა კისრულობს ... მეების მოსაგვარებლათ სამი კაცი... შემდგარი კომისია აირჩიეს.

ს. დგარდია (რაჭ...).

ეს სოფელი სწავლა-განათლების მ... მის მეზობელ სოფლებთან ჩამორჩ... ლია. გარდა ერთკლასიან სამრე... შკოლისა, აქ არავითარი კულტუ... დაწესებულება არ არსებობს. გან... ხეს ამ შკოლის ორ-კლასიან შკოლ... გადაკეთება, მაგრამ განზრახვა გან... ვათვე დარჩა. გზების სიცუდით ... სასმელი წყლის უქონლობით სოფ... გაჭირვებაშია. სასმელი წყალი ... ლობით იწამლება.

## გლეხის ს. ფრუიძის წერი...

ბევრი საყვედური ითქვა და ... წასულ 1912 წელიწადზე. მე კი ... დათ მადლობის მეტი არა მმართებს მის... რადგანაც „დასელებმა“ ამ წელში ა... თეს „სამარცხვინო ბოძი“. ამ წელიწადმ... მიამა გული არამც თუ მე მარტო, ... იმ გლეხობასაც, ვისაც ავისა და ... მიხვედრა აქვთ. წავიკითხე გაზეთის ... ცლებზე სახელიწიფო სათათფიროში ... ვარლამ გელოვანის მიერ წარმოთქ... სიტყვა და დავრწმუნდი, რომ ბ. გელ... ნის დეპუტატათ არჩევით არ მილალ... გლეხთათვის და სწორეთ მიმიცია ...

## ძია, მიმღერე მთის სიმღერა!

„სიყვარული სუნია ვარდთა თაიგულისა, რომელსაც ადამიანის სული მანამ ეწაფება, სანამ გული სურნელებით არ დაითრობა. დამთვრალია და იტანჯება, უნდა ტანჯვა მოიცილოს მაგრამ თავდავიწყებაც სურს გაგძელდეს. უყვარს და იტანჯება! იტანჯება და უყვარს“...

1.

გოჩა ზეგნელი საუკეთესო მონადირე იყო მთელს სოფელში. ოცდა ათი წლის, ტანათ მაღალი, არწივისებური შავი თვალები, მაღალი შუბლი, ხშირი, მოკლე შავი წვერი—ფაფარისებური გიშრის თმა,—აი, მისი სურათი.

უნდა გენახათ მისი მუდამ დაფიქრებული სახე, ღიმილი იშვიათად უკრთოდა მისი გონება მუდამ სხვა ქვეყანაში, შორს რბოდა,—მუდამ რაღაც განსაკუთრებული ბოლმით იყო შეპყრობილი.

სოფელში ყველა რაღაც მოკრძალებით ეპყრობოდა; ყველას გულში რაღაც უჩინარი ძალა მოეპოებინა.

გაუყოფელი უფროსი ძმები—რძლები, ცოლი, მოწიწებით შესცქეროდენ სევდიან თვალებში, თითქოს ყველაფერს კითხულობდენ, ამიტომ საწყენს თითქმის არაფერს ეტყოდენ. მისი გულის სიადიადეს გრძნობდენ.

გრძნობდენ, რომ გოჩაში ცხოვრობდა ამაყი პიროვნება; გრძნობდენ, რომ გოჩა საკუთარი წმინდა, ძლიერი საოცნებო ქვეყნით სულდგმულობდა, ამიტომ ერიდებოდნ, პატივსა სცემდენ.

გოჩაც გრძნობდა ამას... გრძნობდა და სდუმდა.

მხოლოდ ჩვიდმეტი წლის ელო გოჩას ძმისწული, რაღაც ეჭვის თვალით უცქეროდა გოჩას, არ მოსწონდა მისი მოღუშული სახე, არ მოსწონდა მისი არწივისებური თვალები... ელო, მხოლოდ ელო არ ემორჩილებოდა მის სულიერ ძალას, მხოლოდ ის ჩაუფიქრდებოდა ხოლმე გოჩას ამაყ პიროვნების ამოცანას... ხან ნაზი ალერსით სურდა ახლოს, სულ ახლოს გულის კუნჭულში დაესვენებია გოჩას სურათი, მაგრამ რაღაც მძლავრი ძალა ოხვრასთან ერთად ამოგლეჯდა გულიდან მის ხატებას და შორს მოისროდა... იგრძნობდა ზიზღს.., მაგრამ, კვლავ ნელის ღიტინით, შორიდან ახლოს უხმობდა, ტანჯვითა და ალტაცებით თვისკენ იწვევდა... და რა ახლოს წარმოუდგებოდა მისი ხატება, კვლავ ზიზღს იგრძნობდა... კვლავ გასტყორცნიდა...

გოჩა გრძნობდა, რა ცივათაც ეპყრობოდა მას ელო, გრძნობდა და სდუმდა...

როდესაც გოჩა შინ ნანადირევით დაბრუნდებოდა, ყველა ღიმილით შეხვდებოდა, ელო კი მწყრალი თვალით გადახედავდა; მისი მშვენიერებით სავსე შუბლი შეკრთებოდა,—თვალები სხვა რიგათ შეუთამაშდებოდა მთელი მისი არსება გულციობას მოქსოვდა.

გოჩა გრძნობდა ელოს ასეთ მოქცევას. გრძნობდა გული უკვდებოდა. სდუმდა.

2.

შობის წინა დღე იყო, ბუხრის წინ ჩაფიქრებული ელო იჯდა. გარეთ ზამთარი ბობოქრობდა. ხანის მთის თხემები თეთრ ზეწარში გახვეული სთვლემდათ. ასწლოვანი ნაძვები—თავდახრილი, ყურს უგდებდა, გარშემო მოფენილ იდუმალობას. მიდამო დუმილს მოეცვა... მხოლოდ მდ. ხანისწყალი, რომელსაც შუაზე გაეპო ხანის მთა, შხუოდა, ბობოქრობდა, აქაფებული ქვებს ებრძოდა, ზე ევლებოდა, ხან კლდეს მიასკდებოდა, უკან ბრუნდებოდა, იქვე გვერდით ღრიალით, სიმაღლიდან გადმომსკდარი, ძირს ეცემოდა და დაღლილი ბუტბუტობდა, ოხრავდა. ეს შხუილი, ოხვრა და ბუტბუტი არე-მარეს გულში ექსოვებოდა, მოუთხრობდა ტკბილს—გიჟურ ნანინას და მიდამოც ყურს უგდებდა, თრთოდა და სდუმდა...

ყურს უგდებდა ელო მდინარის შხუილს, რომელიც მიდამოს გამოუცნობელ ღიტინთან ერთად ოთახში შემოიჭრებოდა—ბუხარის გუგუნს შეეწნებოდა და საერთო ძალით მოქსოვილ ტანჯვა-ნეტარების თალხში ელოს არსებას ახვევდა... ამ უცხო მელოდიას მთელ სხეულს აპყრობდა ელოც და გამოუცნობელ სიგიჟე-ნეტარებას გრძნობდა. უცებ ჩაფიქრდა... ამ ნეტარების სამეფოში მას წინ გოჩა წარმოუდგა... შეკრთა... ჟრუანტელმა ტანს დაუარა... მიმოიხედა—არავინ იყო.

გოჩა ორი დღეა სანადიროთ წავიდა—და ელოც თავისუფლათ გრძნობდა თავს—მაგრამ ეს განცდა რაღაცამ შეარყია... მის სახეს სევდის ღალი ამოქარგა

გამოერკვია—გახედა მიდ მოს, რომელსაც გარშემო სიბნელის თხელი თალხი ეკვრებოდა—გახედა და ამოიოხრა, ბუხრის კიდეს თავი მიადვა, ხელებით პირისახე დაიმალა და გამოურკვეველ სამეფოში შეცურდა... დიდხანს, დიდხანს იყო ელო გამოურკვეველ მდგომარეობაში... მისი ახალგაზდა გული ტბილათ სცემდა, ათასნაირ ფერადებით თავის მომავალ ბედს ისურათებდა. აი, მისწინ სდგას ახალგაზდა ყმაწვილი—ლამაზი, მოხდენილი ტანისა და ელოც ულიმის, მისკენ მიიწევს... მრავალჯერ გამოიწვია უცნობის დამათრობელი ხატება და ნეტარების ბადეში გახვეული გული ტკბილათ აიძგერა. აი, კვლავ ის უცნობი... ვით ცოცხალი არსება წინ წარმოუდგა, ელო ღიმილით მიიწევს, მიუახლოვდა, ხელები მოხვია, გულში ჩაეკვრა, ტუჩები საკოცნელათ მისწია, მაგრამ აძიგძიგდა... ამ არსებაში გოჩა იცნო, შეკრთა... გოჩა სევდიანი მისჩერებოდა... უცებ ელოს რაღაც დამათრობელი ხმა მოესმა, ტკბილი—რომელმაც მოიჯადოვა მისი სხეული, აგრძნობია უცნობი ნეტარება, მიაშტერდა გოჩას ხატებას,—მასში განხორციელდა და გიჟური კოცნით მის ტუჩებს დაეწაფა...

ხმაურობა მოესმა—გამოერკვია. მთლად კანკალებდა... მიმოიხედა, გარეთ ბნელოდა, ბუხარში ნაკვერჩხლები გუზგუზობდა და თავის მკრთალ სინათეს ოთახის კედლებზე ათამაშებდა.

— ელო, სანთელი აანთე!.. სად დაიკარგე? მოესმა დედის ხმა. და რამდენიმე ადამიანი ოთახში შამოვიდა. ელომ მათში აშკარათ გაარჩია გოჩა და ნაღვლიანი თვალები მიაპყრო. სანთელი აანთო. ყველა ბუხარს მიუსხდენ.. ელო ჩაფიქრებული ყურეში მიჯდა... დიდხანს იმუსაიფეს... ხოლო გოჩა სდუმდა, ბუხარს ჩასჩერებოდა და თამბაქოს ბოლში ხანდახან ძლიერი ოხვრას გაურევდა... გარედან უცებ მწყობრი სიმღერა მოისმა: ... ლო“!—წამოიძახა ელომ და გაჩუმდ...

— შინ შემოვიყვან!—წამოიძახა ... როსმა ძმამ ნიკომ და გარეთ გავიდა. ... დენსამე წუთს შემდეგ ხუთიოდე ახალ... და გალობით შინ შემოვიდენ. უცებ ... ყვეს სუფრა.—მიიწვიეს მეალილუებ... ტკბილ ჭამასთან—გაისმა საოცნებო ... გუნი.

— გოჩა გვიმღერე რამე!—სთხოვა ... მა ყმაწვილმა, შენი ძმა განთქმული ... ნადირეთა შორის...

— ვერ ვიმღერებ, ჩემი სიმღერა ... სიმღერაა, რომელსაც ნადირობის ... ვმღერი! ვერ ვიმღერებ, აქ ოთახში! გოჩა მოიღუშა.

— მაგას ტყის ქალისთვის სიტყვა ... მიცემული, სხვაგან არ იმღეროს! ... ძახა ერთმა...

ყველას გაეცინა. ელო ამ სიტყვ... შეკრთა... თვალები გაუდიდდა და ... ცვიფრებით ტუჩზე იკბინა... რათ? ... თავს პასუხი ვერ მისცა.

— მაშ გვიამბე რამე—ტყე-მთის ... ვი!—სთხოვეს ერთხმათ.

— არა, და გოჩამ ყურეში მჯდ... ელოს გადახედა, ელოს გულში მოხ... გოჩას არწივისებური გადახედვა.

— ძია, გვიამბე, გვიამბე!—მორც... სთხოვა ელომ და თავი ჩაღუნა.

გოჩამ დაიწყო. მისი ამბავი—ეს ... იყო ზეციურ ხმებით შეთხზულ-შე... ლი. მისი სიტყვები მუსიკა იყო ამ ... ნიური, რომელმაც ყველა მოიტაცა, ... შებოჭა, აფრთოვანება—ტანჯვა-სიხ... ლის თალხში გახვია, უცებ ათავის... და შორს, შორს გაიტაცა, ტანჯ... რება ერთად აგრძნობია.

...პირისათვის, ვინც მთავრობასა და რუსეთის საზოგადოებას ქართველი გლეხების მიწის სივიწროვე, სილატაკე და სხვა ნათლად დაუსახა. ამას შემდეგ მაინც დარჩუნდებიან ჩემი მეზობელი გლეხები, რომ მე მათთვის არ მიღალატია და ხმა მიმიცია გელოვანისათვის, რომელიც ნათლად იცავს და შემდეგშიაც დაიცავს ქართველი გლეხების ინტერესებს. ჰო და ამასთანა „ღალატისთვის" რო სამარცხვინო ბოძი აღმიმართეს მიტომ ვუმადლი გასულ წელიწადს. ვუმადლი, რო უღალატე იმ ჯგუფს, რომელსაც ბრმათ მიმყოლი უყვარს და თვალახელილს კი სამარცხვინო ბოძს უმართავს... რა გაეწყობა ტანჯვას შეჩვეული ვარ, არ მეშინია... მეშინია მხოლოდ ქართველი ერისა და მათ მიერ აღმართული სამარცხვინო ბოძისა, რომელიც ღმერთმა მაშოროს. მოვა დრო, გლეხობა შეიგნებს და „ესდეკების" მიერ ტანჯულს ჩამოხსნის ბოძიდან და სამშობლო მიწას მაინც მიაბარებს... არ ვემდური, არა, წასულ წელს.

**გლეხი სამსონ ფრუიძე.**

## ფიქრის მორევში.

როდესაც უფროსი რამე განკარგულებას ახდენს, სარგებლობს თავის უფროსობით, უფლებით, რა გინდა მკაცრიც უნდა იყოს ეს განკარგულება, რა გინდაც არ შეეფერებოდეს იგი ამის ბუნებას, სულსა და გულს, ვისთვისაც ეს განკარგულება იწერება, იდგინება, რა გინდ არ უნდა ემოს ასეთი განკარგულება, დადგენილება კერძო პირს, წრეს, თუ მთელს საზოგადოებას ვისაც იგი ეგზავნება, უფროსი, ალბათ, დარწმუნებულია, რომ კერძო პირს გაუჩნდება ვინმე მტერ-მოყვარე, წრესა და საზოგადოებაშიც გამოჩნდება არა ერთი და ორი მონა-მორჩილი ასეთი განკარგულებისა, პირადი სარგებლობისათვის საგულეს მიიღებს ამ განკარგულებას და მით უკუღმართობას ხელს შეუწყობს. სწორეთ ასეთი იმედით, რომ ალაღებს უფროსს და შეუფერებელსა და ხშირათ უმგვანო განკარგულებას ადგებს იგი, ასაღებს თავის ბრმა ფარეშების დახმარებით.

ეს მწვავე ფიქრი უნებლიეთ სულსა და გულში შემეჭრა უკანასკნელი ამბების გამო.

მე მოგახსენებთ ადგილობრივ დირექციასა და ქალაქის თუ სოფლის შკოლების მასწავლებელთა შორის მომხდარ ინციდენტზე.

დირექციამ შეუფერებელი, სალი პედაგოგიის წინააღმდეგი განკარგულება, სამშობლო ენის შეზღუდვისათვის დადგენილება მოახდინა.

ვინ დაგიდევს მოზარდი თაობის ბუნებას, პედაგოგიკის ანბანურ სინამდვილეს...

ერთადერთი ბრმა, გამათახსირებელი პოლიტიკაა, რომელიც ულვთოდ შესევია შკოლებს...

და ამას ხელს უწყობენ... ხელს უწყობს ბევრი გათახსირებული და ალაღებს უფროსს.

„მასწავლებელო!", რათ შეურაცყოფ ამ შენს მაღალ სახელწოდებას!

დ.

## ორი სიტყვა ქუთაისის ქართველ მომღერალთა გუნდზე.

ამ რამდენიმე წლის წინათ ქუთაისში შედგა ქართველ მომღერალთა გუნდი, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ დაახლოვებით სამოცამდი ქალ-ვაჟი. იმ დღიდანვე გუნდი ენერგიულათ შეუდგა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერების შესწავლას, ძმ. შარაშიძეების ლოტბარობით. სულ ორი წლის განმავლობაში გუნდმა საკმაო თანაგრძნობა დაიმსახურა ხალხის თვალში. გასულ წელს მომღერალთა გუნდმა იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში იყო, ბათომში, ფოთში და ხონში, სადაც ხალხი სიხარულითა და აღტაცებით ხვდებოდა. ამ ნაირათ საქმე უკანასკნელ ხანამდი კარგათ მიდიოდა დღეს სამწუხაროთ მონაწილეთ რაღაც ნაირი გულგრილობა დაეტყოთ. წინათ თუ ყველა დიდი ხალისით ეწერებოდა გუნდში, დღეს არა თუ ახალი არავინ ემატება ძველებიც კი გაურბიან მას. რას მიეწერება მომღერალთა ასეთი გულგრილობა, ამის ახსნას ჩვენ არ გამოვუდგებით... უნდა შევნიშნოთ, რომ ვისაც სურვილი აქვს, გუნდში მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს მის განვითარებას, მისთვის კვირაში სამი ოთხი საათის დროს მოცდენა დიდათ შემაწუხებელ გარემოებას. არ უნდა წარმოადგენდეს. სამწუხაროა, თუ თითოეულს მათგანს კარგათ არ ესმის, რა დიდ საქმესაც ემსახურება. ყოვლად შეუწყნარებელია ამ საქმეზე გულის აცრუება. უნდა გათვალისწინებული ქონდეს ყველა, რა ეროვნულ, საშვილიშვილო საქმესაც ემსახურება და გრძნობით გამსჭვალული სიბეჯითე და ენერგია მართებთ და არა გულის გაგრილება, გულაცრუება.

აშ. ბუკისციხელი.

# დეპეშა.

პეტერბურგის ტელ. სააგენტოსაგან.

ო მ ი ბალკანეთზე.

**სტამბოლი.** მაჰმუდ-შევკეტი გენერალი სიმუსათ დანიშნეს და ამის ადგილზე საიდ-ფაშა. დაარსეს ეროვნული დამცველი კომიტეტი 28 პირისაგან. კომიტეტი მოუწოდებს—პროვინციებში კომიტეტის განყოფილებანი დააარსონ.

**ბერლინი.** კრეისერი „ვიქტორ ჰიუგო" სტამბოლს წავიდა.

**ბელგრადი.** „პრესბიურო" აცხადებს: სერბიამაც მოლაპარაკება შეწყვიტა და ბულგარეთთან ერთად სამხედრო მოქმედებას განაახლებს.

**სარაევო.** მოსტარეს მოჰმადიანებმა ენვერბეის მისალოცი დეპეში გაუგზავნეს და ოსმალეთის წითელი „ნახევარ მთვარეს" 30,000 კრონი შესწირეს.

**ლონდონი.** ნოვაკოვიჩი და ვენიზელოსი სერბია-საბერძნეთის დელეგატებით ლონდონიდან წავიდენ. წასვლისას ვენიზელოსმა რეიტერის კორესპონდენტს უთხრა: იმედი გვაქვს, მალე დავბრუნდებით ახალ სამშვიდობო კონფერენციაზე დასასწრებლათ, მაგრამ უმთავრესი მუხლები სამშვიდობო ტრაქტატისა წინდაწინვე იქნება გადაჭრილი და ხელმოწერილი ბრძოლის ველზე. ომი ერთადერთი საშვალებაა მტკიცე მშვიდობიანობის მოპოვებისთვის.

**რომი.** ლუცატი ალბანეთზე ევროპის საერთო პროტექტორატს იცავს. მისი აზრით ეს საჭიროა, რომ ავსტრია-იტალიას შორის შუღლი არ დაითესოსო.

**ლონდონი.** ლონდონიდან გასვლის წინ დალევმა „რეიტერის" კორესპონდენტს უთხრა: ომის განახლება აუცილებელია, რომ ოსმალეთს თავისი დამარცხება დაუმტკიცოთო. ომი ხანმოკლე იქნება. და მოკავშირეთა მოთხოვნილებაც ფერს იცვლის. ასე რომ საზღვრებზე როდოსტოზე და მედიაზე ლაპარაკიც აღარ იქნებაო. დანევი კმაყოფილია, რომ მოკავშირეებმა ერთიანად მხარი დაუჭირეს მას და იმედი აქვს მალე დაბრუნდებიან ლონდონს ახალი სამშვიდობო მოლაპარაკებისათვისო.

**ბერლინი.** აქაურ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ოსმალეთის საპასუხო ნოტა ხელ-ახალ კამათს გამოიწვევსო. ელჩები ლონდონში და ინგლისის პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს ბალკანეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებზე და მათ გამწვავებულ მდგომარეობას ზომიერობის ელფერსა სდებს. აქ ფიქრობენ ბალკანეთის დელეგატები კარგს სამსახურს ვერ გაუწევენ თავიანთ ინტერესებს, თუ დიდი სახელმწიფოების კეთილი რჩევა უარყვესო, თუმცა არც იძულებითი ზომები იქნება მიღებულიო.

აქაურ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, დიდი სახელმწიფოების საერთო გალაშქრება არ მოხდება არც პორტისა და არც ბალკანეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ დიდი სახელმწიფოები თუ იხმარენ საშვალებას ომის საწინააღმდეგოთ, ეს საშვალება სულ სხვა სახით იქნება, ვიდრე აქამდი იყო. ლონდონში დიდი სახელმწიფოები უკანასკნელ წუთამდი ომის განახლებას წინაღუდგებიან.

**სოფია.** გაზეთი „მირ"-ი ადრიანოპოლის შესახებ გადაჭარბებული ატეხილი ხმაურობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს. გაზეთი ამბობს:—განახლებული ომი არსებულ მდგომარეობას შეცვლის, ყველა შეთანხმება და ურთიერთი დათმობა უკანა საფეხურზე ჩამოვა და ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა შედეგს მოგვცემს განახლებული ომიო.

**ლონდონი.** დანევი პარიზს წავიდა; სამშაბათამდი იქ დარჩება.

### საზღვარგარეთი.

**კაშგარი.** იანინის პროვინციის ახალი მხედართ-მთავარი დიდი რაზმით მოვიდა.

**ვენა.** მონარქიის სავაჭრო პასივი 1912 წლისა არაჩვეულ ციფრამდი, 825 მილიონამდი ავიდა ასე, რომ 38-ჯერ მეტია, ვიდრე 1911 წლის პასივი.

როგორც „ფრემდებლატი" იტყობინება, ჰოჰენლოჰენიკი პრინცი ვოტფრიდ ვოგენოვი ამ დღეებში პეტერბურგს წავა და ფრანც იოსების საკუთარ წერილს გადასცემს ხელმწიფეს. პირდაპირი დამოკიდებულება ორთავე მონარქს შორის პეტერბურგისა და ვენის სასახლეებს შორის მეგობრული განწყობილების მომასწავებელიაო.

**ბუდაპეშტი.** გაზეთები იუწყება: სასამართლოს გამომძიებელი მარმაროშსიგეტა იზას საზოგადოებაში მისულა, რათა მართლმადიდებელი სარწმუნოების მქადაგებელთა ბელადები გაეჩხრიკა და დაეპატიმრებია. დაუტუსაღებიათ სოფლის მემამულე საბო, რომელსაც მიწერ-მოწერა ქონდა ბერ კაბალიუკთან, და ოთხი კიდევ სხვა. ყველა ბორკილებით მარმაროშ იგეტთან მიუყვანიათ. ამ შემთხვევის გამო „ბუდაპეშტტა გებლოტი" რუსეთს სამდურავს უცხადებს—აგიტაციას მხარს უჭერო.

**მექსიკა.** პრეზიდენტის მახლობელი წრეებიდან იუწყებიან: მთავრობამ გადაწყვიტა გაზაფხულისთვის გარე მონგოლეთის წინააღმდეგ ექსპედიცია მოაწყოს. როგორც პრეზიდენტის ფარული მიწე... წერილობიდან ჩანს, ვიცე პრეზიდენტი ექსპედიციის მთავარ სარდლათ ინიშნება.

**ბერლინი.** მარკოვმა კავშირის საკრებულოში, რომლის მიზანი რუსეთის შესწავლაა, რუსეთის ფინანსიურ-ეკონომიურ გავითარებაზე რეფერატი წაიკითხა.

**ბუდაპეშტი.** გაზეთი „აზესტი" იუწყება: მარმაროშ სიგეტამ კიდევ ორი რუსეთის მომხრე აგიტატორი დაატუსაღა. საერთო რიცხვი აგიტატორისა, რომელიც მართლმადიდებლობის სასარგებლოთ აგიტაციას სწევენ გამომძიებელს დაუტუსაღებია. კოზელიმეგში დაუტუსაღებია 27-მდი. გამომძიებელმა აგიტაციის წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღო, კოვალუკის მიერ დაარსებული სალოცავი სახლი დახურა და ჯვარი, რომელიც ქოხში იდგა და სააგიტაციო მასალათ იყენებდენ, გაატანია ქოხიდან. გაზეთები ამბობენ ეს ჯვარი რუსული იდეის საგიტაციოთ იყო და უკეთ ემსახურებოდა მართლმადიდებელ ქრისტიანობას, ვიდრე თორმეტი მოციქულიო. მართლმადიდებელთა პროვინციებში ჟანდარმერია გააძლიერეს.

### რ უ ს ე თ ი.

**რიგა.** ზღვაზე ქარიშხალია.

**პეტერბურგი.** გაზეთი „პრავდა"-ს ნუმერი დააკავეს წერილისათვის—„ცხოვრება გვასწავლის".

**ტროიცკო-სავსკი.** მაიმაჩენში მოსულ მონგოლებისაგან მილიცია მოაწყვეს და იარაღიც დაურიგეს. ხაისან გუნა დაატუსაღეს. ურგის განკარგულებით მონგოლეთის ჯარებს საკლავები დაურიგეს. შელავათიანი წარმოების დახურვის გამო, მესაზღვრე ადგილებში ჩინეთლები საქმის ლიკვიდაციას ახდენენ და სამშობლოს მიემგზავრებიან. მაიმაჩენი იცლება.

**ნიკოლაევი.** საბერძნეთის ელჩმა უცხოელ გემებს გაუცხადა—ღამით სალონიკში შესვლა აკრძალულიაო.

**ქერჩი.** ბუხტი გაიყინა.

**პეტერბურგი.** 19 იანვრიდან ძალაში შევიდა პრუსიის მთავრობის დადგენილება, რომელიც უცხოელ ჰაერონავტებსა და ჰაეროპლანებს რუსეთ-გერმანიის საზღვარზე გადაფრენას უკრძალავს.

**სარატოვი.** საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა—მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, რათა ნავთის მწარმოებელთა სინდიკატებს ბძოლა გაუწიოს.

---

...გულის ძგერით ყველა უსმენდა, თვალებიდან ნაპერწკალი სცვიოდათ. გოჩას ტუჩებს სწყდებოდა მგზნებარე სიტყვები, საიდუმლოთ გულში ყველას ჩაეჭრებოდა, მოსტაცებდა ხან ოხვრას, ხან აღტაცების სხივებს სახეზე გამოხატულს, მოსტაცებდა და ბუხრის გუგუნში ჩაეწნებოდა, იქიდან ნელის ლიტინით სინათლესთან ერთად ოთახის კედლებს შეუთამაშებდა, გულში ჩაეკვრებოდა, გაისრიალებდა სადმე ჰურჰუტანაში, შეუერთდებოდა სივრცეს,—იქ ახლო ჩანჩქერის ხმაური მიიზიდავდა, გულს მიისვენებდა და საერთოდ ქმნიდენ უცხო მელოდიას, რომელიც უკან ოთახში ბრუნდებოდა—და ისეც მოჯადოებულ მსმენელების არსებას საიდუმლოების ძაფებში ხლართავდა.

ელოს თვალები უბრწყინავდა, მას ყველაფერი გადაავიწყდა. საერთო ძალამ ის მოიტაცა და ახლა გოჩას თვალებს ვერ აშორებდა, იჭერდა ყოველ მის სიტყვას—მით ქმნიდა თვის გარშემო უფ[illegible] მტანჯველსა და ნეტარებით სავსე სა[illegible]ულს...

ელოს წინ მთელი სურათი გადაიშალა, რომელიც მას დღემდი არ ენახა—მასზე გამოხატული იყო ორი გოჩა. ერთი მოქანცული, ჩუმი, ცივი, ვით ყინული, მეორე—ამაყი, მღიმარე, აფრთოვანებული, რომელმაც მთელი მუსიკა შექმნა გულში. და პირველი მეორემ დაფარა; მის სულში გადიშალა ახალი ბინა, რომელმაც ჟრუოლით გოჩა მიისვენა გოჩა მგოსანი მთა-ხევებისა, გოჩა მესაიდუმლე ბუნების სულის-გულისა...

მიისვენა და დააფიქრა.

გოჩამ გაათავა... ყველა სდუმდა, გავლილი ნეტარებითა შებოჭილი. ბოლოს ერთმა დაარღვია სიჩუმე—ამოუკიდა ტკბილი სიმღერა—ზეზე წამოდგა—აი სხვები მიყვენ და საოცნებო გუგუნით გარეთ გავიდენ...

ყველა მიწვა... ელოც იქვე...

გოჩა კი ისევ ბუხართან იჯდა და ფიქრში წასული თამბაქოს აბოლებდა.

ელომ გადმოიხედა. ამოიხრა, სევდიანი თვალები მიაპყრო გოჩას.

ბუხარში ნაკვერჩხლები გუზგუზობდა. ხანდახან შუაგულში ალის ენები აპრიალდებოდა და მისი მკრთალი ნათელი გოჩას ნაკვთიან სახეს ელამუნებოდა.

3.

გავიდა ხანი. ელო შეიპყრო იმ ძლიერმა ძალამ, რომელიც ადამიანის სულსა და გულს აფრთოვანებს და სტანჯავს. იმ ნეტარ დღეს შემდეგ ელომ არ იცის მოსვენება. იგი გაშტერებული დაიარება. ხან ოთახის ყურეში მიჯდება და ფიქრი წაიღებს, ხან გარეთ გაიჭრება, აყვება საყვარელ მდინარეს, შეცოცდება პიტალო ქვაზე გადააჩერდება მქუხარე ჩანჩქერს და ცრემლის ნაკადული ღაპა-ღუპით თვალთაგან სდის, უნამავს ვარდისფერ ღაწვებს, სადაც ზოლათ სიყვითლე ჩაქსოვილა.

ახალი გაზაფხული იყო... მიდამო მწვანე სამოსელს ისხამდა.

ელო დაფიქრებული გამოვიდა სახლიდან და მდინარის პირას ხის ძირას მიჯდა. ამოიოხრა... თვალი მოავლო ფერსათის მთის თხემებს, რომელიც ჩაფიქრებული—მდუმარე ამაყათ გამოიცქირებოდა. მერე მდინარეს ჩააშტერდა... მდინარის ტალღებმა მოიტაცა მისი მხედველობა, ბრუ დაესხა... ზეზე ტორტმანით ადგა და შინისკენ ქანაობით წამოვიდა...

ელო ლოგინათ ჩავარდა. ავათმყოფობამ იგი მოსწყვიტა ამ ქვეყანას, თვისი ბასრი ბრჭყალები ჩასჭიდა. ერთ კვირაში ატმის ყვავილის ფერი ლოყები დადნა, შავი თვალები მიელულა, მხოლოდ ხანდახან გადმოიხედავდა, ცეცხლის ნაკვერჩხალივით გაანათებდა თვალის კაკლები და ყველას გულიდან სევდიან ოხვრას მოსტაცებდა...

ერთ საღამოს მძინარე ელოს თავით გოჩა უჯდა. ოთახში არავინ იყო... გოჩა ღრმა ფიქრში წასულიყო. უცებ ელოს ამონაკვნესი მოესმა...

— გოჩა, საუნჯე ჩემო, რა რიგ... მიყვარხ..არ, მი... ბუტბუტებდა ელოს ტუჩები ძილში. გოჩა შეკრთა, ცივმა ჟრუანტელმა დაუარა—ოფლი დაასხა ნაკვთიან შუბლზე.

— გო..ჩა. მი..—კვლავ წაიბუტბუტეს ელოს ტუჩებმა... შეკრთა, თვალები გამოახილა, მიაპყრო გოჩას, გაიღიმა.

— ძია!!

— რა გინდა, გენაცვალე.

— მიმღერე შენი მთის სიმღერა, მინდა გავიგონო.. მაშინ მოვრჩები.

— არა, გენაცვალე, გაწყენს!..

— ჰო მართლა... შენ მთის ქალისთვის სიტყვა გაქვს მიცემული, მისმეტს სხვას არავის უმღერო. და ქვითინი აუვარდა...

ქვითინზე სხვები შამოვიდენ...

გოჩა დაღვრემილი, ყრუთ იდგა, მხარზე თოფი გადაიკიდა და გარეთ გავიდა.

4.

გოჩა მთის ფერდობს შეუყვა... ნაძვნარში შევიდა და ხის ძირზე დაფიქრებული ჩამოჯდა. საშინელი სიჩუმე მეფობდა... შორიდან მდინარის შხუილი მოისმოდა.. ტყეში ბნელოდა... ზევით აიხედა ცაზე ვარსკვლავები ბჟუტავდა. უცებ მდინარის ხრიალი მოესმა—გაიხმაურა მის არსებასთან და შორს სივრცეში ჩაკვდა.

თავი ჩაღუნა... შეკრთა... მის წინ ელო იდგა... შუბლი მოჰმუხა, ოხვრა ამოსკდა... თავი ასწია, იქვე ბურდებს თვალი მიაპყრო, რომელიც ვებერთელა ნაძვს გარს შემორტყმოდა... ხის ძირას რაღაც მწერი ანათებდა—მისი ბჟუტვა გოჩას გულში მოხვდა—გააჟრჟოლა—უცებ მის თვალწინ ელო აღიმართა... მისკენ ხელებს იშვერს—სევდიანი თვალები მოაპყრო რაღაცას სთხოვს... გოჩა ათრთოლდა...

— ძია, მიმღერე მთის სიმღერა, მიმღერე!—მოესმა ხმა...—არა! და გოჩამ თვალები მიაშტერა, ასული ლინე მიხდილი დაეშვა ეკლებზე და კვნესა გაისმა.

— გოჩა გაექანა ელოსკენ. ათრთოლებული მივარდა, მაგრამ იქ არავინ იყო... თმაში ხელი წაივლო. კანკალმა აიტანა და შინისკენ ჩქარის ნაბიჯით გამობრუნდა... გზაზე მთელი სახე ნაკვთებათ ექცა. ელო, ელო, უდგა თვალწინ და იტანჯებოდა.

რა ქნას, რა მოახერხოს, რით იხსნას საბრალო ასული... მივიდეს, მოეხვიოს, სიყვარულისა და გრძნობის ბურუსში გახვიოს, მერე ელო ხომ მისი.. შეუძლებელია! რათ მიყვარს! გაიფიქრა და პირველათ გძელ ხავერდოვან წამწამებზე ცრემლი მოადგა.

ამ ფიქრით და ტანჯვა-ოხვრით, მდინარეს მოადგა. ზევით ბილიკზე მოდის, ქვეშ უზარმაზარი კლდე, რომლის ნაპირის გულში შხუილით ეკვრის მქუხარე მდინარე... გოჩა შეჩერდა. მოავლო უფსკრულს თვალი...

მდინარე ოხრავდა, გმინავდა, მაგრამ გოჩას არსებას არაფერი ესმოდა. თვალი დააშტერა მქუხარე ტალღას, რომელიც კიდეს უტრიალებდა... გაქვავდა... წყლის ზედაპირიდან გამოჩნდა ქალის ავათმყოფი სახე—შავი დიდი თვალები... იგი ზევით, ზევით მოდის. შუა კლდესთან შეჩერდა. ხელები გამოიშვირა, სევდიანი თვალები გოჩას გაუყარა.

— მიმღერე მთის სიმღერა, ვიტანჯები, მიმღერე!—მიესმა საცოდავი ხმა. გოჩა შეკრთა. ეს ხომ ელოა... ველარ გაუძლო მის მხედველობას. ათრთოლდა.

— მიმღერე ძია მთის სიმღერა! კვლავ მოესმა, მიმღერე, ახლოს მოდი, მე მოვრჩები.

— ვიმღერებ, გენაცვალე. და გადაიწია, ხელები გაიშვირა... მოსწყდა კლდის პირს და მქუხარე მდინარეში გადაეშვა.

გოჩას სხეული გიჟმა მდინარემ გულში ჩაიკონა—ტალღათ შხუილმა ჩაიქსოვა მისი უკანასკნელი სიყვარულით სავსე ოხვრა, შექნა საიდუმლოებით სავსე მელოდია, რომელიც მოიტაცა ღამის ნიავმა და არე მარეს გულში სამარადისოთ ჩააწნა.

**დია ჩიანელი.**

30 დეკ. 1912. ქ. ხარკოვი.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული: საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი. საუკეთესო ... ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ... ემალ გამოვლებული ... ჭურჭლეული ...

მანის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოს ... საქონელი. მოხრილი სუფრის ყოველ-გვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ... ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მ... ყობილი, ორთქლით ძრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ... თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მიკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.



მიღებულია ცნობილი აბრეშუმის თესლი

# ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმომდგენელი მთელ ამიერ კავკასიისა სავაჭრო სახლი

# ი. გოპიელოვის შვ-ბი

ქუთაისში 9


პეტრეპავლოვსკი. კამჩატკაზე კლიუჩევსკაია სოპკიდან საშინელი გრიალი ისმის, რომლის ხმა 30 ვერსზე უწევს. პეტროპავლოვსკში არაჩვეულებრივი 30 გრად. ყინვებია.

## წმინდა ნინოს დღესასწაულის გამო.

14 ს. ამ თვეს ჩვეულებრივათ იდღესასწაულა ქუთაისის საქალებო სასწავლებელმა თავის ტაძრის წმინდანის—ნინოს დღეობა. მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო გიორგი. წირვაზე გალობდა სასწავლებლის გუნდი. სასწავლებლის ღვდელმა დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განუმარტა შეგირდებს აღმზრდელობითი მნიშვნელობა ტაძრისა. წირვის დროს კვერექსები აქა-იქ ქართულათაც ისმოდა. გალობა კი არ ყოფილა ქართული. არ ვიცით, არ იცოდენ თუ არ ისურვეს. რაც შეეხება ამ დღის დღესასწაულობას სხვა ეკლესიებში უნდა სიმართლე ითქვას, საზოგადოთ ჩვენი წმინდანების დღესასწაულობას გულ-გრილათ ვეკიდებით. არც სოფლებსა და არც ქალაქის ეკლესიებში ჯეროვნათ არ ვდღესასწაულობთ და პატივს არ ვცემთ ჩვენს წმინდანებს. ამასთან, არ შემიძლია აქვე ერთი მოვლენა არ აღვნიშნო. რომლის მოწმე გავხდი ნინოობის წინა დღეს, კვირას, 13 იანვარს. მოვისურვე ამ დღეს ერთს მახლობელ ეკლესიაში მომესმინა წირვა. წირვას შემდეგ ღვდელი—რუსი სდგას ამბიონზე და უხსნის მსმენელ და მლოცველ რუსებს ცხოვრებას და ღვაწლს წმინდა ნინოსას, იხდის ამავე წმინდანის სახელზე პარაკლისს და ბოლოს მრევლს ამ სიტყვებით მიმართავს: „მართალია, წმინდა ნინოს დღეობა ხვალ არის, მაპატიეთ რომ დღეს ვიხსენიებ მას, მაგრამ ვინაიდან ხვალ ჩვენ წირვა არ გვექნება, ამისთვის დღეს განვიზრახე ამ წმინდანის მოხსენებაო“...

ჩვენებმა კი ბევრმა განუმარტა წმ. ნინოს ვინაობა ხალხს თვით მის დღეობას თოთხმეტ იანვარს!?..

წმინდა ნინოს პიროვნების და ცხოვრების გაცნობა აუცილებლათ საჭიროა ხალხისათვის და განსაკუთრებით ჩვენი დედებისათვის. ამ დიდებული ადამიანის მოციქულებრივმა მოღვაწეობამ მთელი ხანა შექმნა ჩვენს ცხოვრებაში და ისტორიაში—ხანა განმაახლებელი სარწმუნოებრივ—ზნეობის და გონებისა. მისმა სპეტაკმა ცხოვრებამ და დიდებულმა ღვაწლმა დღეს—მეოცე საუკუნეში—მოიპოვა თუ არა შესაფერი რიცხვი მიმბაძველთა ზნეობას და ეროვნულ ნიადაგზე განვითარებაზედ თავდადებულთა? ყველა ამის გათვალისწინება და მოკლეთ განმარტება არ შეადგენს დიდს შრომას და მსმენელთათვის კი ყოველთვის და ყველა ადგილს (ჩვენში)—ქალაქსა თუ სოფელში ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო საქმეთ უნდა ჩაითვალოს. მეც.

## ოდიში.

**ნაგვაზოუს საზოგადოება.** 13 ს. იანვარს საზოგადოების ყრილობას, რომელსაც ხალხი ბლომათ დაესწრო, მამასახლისმა ჯლარკვამ გამოუცხადა: განათლების სამინისტრომ დაბა ნოღალევში მაღალი ტიპის პირველ დაწყებითი სამინისტრო შკოლის დაარსება გადაწყვიტა. საშკოლო შენობისა და მიწის ფასის მესამედს ხაზინა კისრულობს და დანარჩენი ორი მესამედი კი უნდა გადაიხადონ მარტვილისა, ნახუნოუს და ნაგვაზოუს საზოგადოებამ, ხოლო ახლა ხან მიწის საყიდლათ ჩვენმა საზოგადოებამ, უნდა გადაიხადოს ხვეჯრი ასოცდაშვიდი მანეთი თანახმათ ხსენებული სამი საზოგადოების დადგენილების ამ ოთხი წლის წინათ ვინ არ იცის რომ ყოველ გვარი შკოლა დიდათ სასარგებლოა საზოგადოებისათვის, მაგრამ რადგან ნაგვაზოუს საზოგადოება 7-8 ვერსზე დაშორებულია ნოღალევიდან და ღარიბ გლეხებს არ შეუძლიათ ამ შკოლით ისარგებლონ და მათ აქვთ ერთი ორ კლასიანი სამრევლო სასწავლებელი და სამიც ერთ კლასიანი, რომელთაგან ერთი (სოფელ ზედა ხუნწის) გადაწყვეტილი აქვთ ორ კლასიანათ აქციონ, რაც იწვევს ზევრ ხარჯებს, საზოგადოებამ დიდი უმრავლესობით მამასახლისს უარი გაუცხადა; მით უმეტეს, რომ ნოღალევში ოთხი წლის წინათ გადაწყვეტილ დადგენილებას დაეთანხმა მარტო სამოციოდე ნაგვაზოველი, რომელნიც თვით ნოღალევში ვაჭრობენ ან იქ მამულები აქვთ, და არა მთელი საზოგადოება. მიუხედავათ ამისა ზოგიერთი პირების გავლენით გადაუწყვეტიათ ნაგვაზოუს საზოგადოებისთვის ფულის გადახდევნება, რაც უნდა შეასრულოს მამასახლისმა.

უნდა აღვნიშნო სასურველი არაა ნაგვაზოუს საზოგადოების ძალდატანებით აკისრონ ის, რაც მას არ შეუძლია, რადგანაც ნოღალევის შკოლით ის ვერ ისარგებლებს და თავის საკუთარი შკოლებიც ამგვარი ზომით იძულებული გახდება დახუროს.

ნოღალევის მაღალი ტიპის სამინისტრო სასწავლებელი თვით ნოღალევმარტვილმა და ნახუნოუს საზოგადოებამ გააშენონ, როგორც უფრო შეძლებულებმა. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს, განსკუთრებით კი სასულიერო მთავრობამ, რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს ნაგვაზოუს სამრევლო შკოლების ბედით.

გორდელი.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ე. ჭელიძე


სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

**მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის.**

(წელიწადი მეექვსე).

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველ თვეს შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები. პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

**წლიური ფასი: ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებსა და სახალხო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მანეთად. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდი გადიხდის, საჩუქრათ მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზი

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიგვიანონ ჟურნალი.

**მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.





# ფილიპე ნ. ჭელიძის

შამპანიური „თამარ მეფე“ და „გოლხიდა“



ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურეობით.

**ვინც დაიკავეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა**

ქუთაისში მიგანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე.

მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.



# КНИГИ

изд. С. А. КОЗЛОВСКАГО для самообученія: Рѣш. и подробн. объясн. 2—10-ю спос. всѣхъ ариф., алгеб., геомет. и триг. зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Малинина и Бур., 3) Гольденберга; 4) Евтушевскаго ч. ч. I и II; 5) Арбузова и Ко; 6) Шапошникова и Вальцова; 7) Киселева; 8) Сорокина; 9) Рыбкина; 10) Кліоновскаго; 11) Минина; 12) Вулиха 13) Давидова; 14) Бычкова; 15) Стеблова; 16) Злотчанскаго; 17) Воинова и др. Скидка 20% при Вашей перес. Подроб. объявл. съ образц. рѣш. зад. высилаю безплатно. Выписивать исключ. по адресу: Бѣлая-церковь Кіев. губ., С. А. КОЗЛОВСКОМУ.



# გ. გორდაძის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო

ქარხნებისაგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის

და ღუმელის მოწყობილობანი;

სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის

მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,

ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,

ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.



რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

# ძმ. ე. და პ. სააკაშვილების

## სავაჭროს, ქუთაისში.

(შუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

**იყიდება ქურა (პლიტა),** თუჯის ორი „კომფორკით“ „დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები ... ლიან ცოტა არის მოსული.



მიიღება ხელის-მოწერა

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნ...

# „კოდე“-ზე.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთო ილიუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომლები როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ. 10 ...

საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 წ. 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორი შაური.

**განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.**

მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.



3 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ჩვენი დროება“.

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—3 აბ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—3 შ., მეოთხეზე—...

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ი. ანდრონიკაშვილი, ... ახნაზაროვი, გ. ამირაჯიბი, კ. ანდრონიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გო... ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. გულისაშვილი, გ. გვაზავა, ვ. გუნია, დ. დუმბაძე, ... ვით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ი. ვართაგავა, ეგ. იოსელიანი, დ. კას... ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ანტ. ნატროშვილი, იასე რაჭველი, მ. ჯანაშვი... გრ. ყიფშიძე, კ. თუმანიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, ряд... съ редакц. газ „Закавказская Рѣчь“. Телефонъ № 12—48. ... телеграммъ: Тифлисъ „Дроеба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი } ერ. დ. გორდელაძე, მ. გაჩეჩილაძე.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და ძარნაუხოვის, ქუთაისში.